



2009 წელი, 22-28 ოქტომბერი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№31 (465) ბაზოლის 1998 წლიდან



„დილოგის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

2009-2010 სასწავლო წელს გაზეთი „დილოგი“ კვლავაც თქვენი საჭიროებების გათვალისწინებით დაკომპლექტდება და სამ ენაზე (ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად) გამოვა გაზეთის ცხრა ნომერი (ოქტომბერ-ივნისი). მისი თითო ეგზემპლარი კვლავაც უსასყიდლოდ გავრცელდება საჯარო სკოლებსა და რესურსცენტრებში. რაც შეეხება კერძო სკოლებს, მათ „დილოგის“ მხოლოდ პირველი ნომერი მიენოდებათ.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გაზეთ „დილოგის“ გარდა მკითხველს, ასევე, სთავაზობს გაზეთს, სახელწოდებით – „დილოგი +“.

სიახლე! გაზეთ „დილოგის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

**2009-2010 სასწავლო წელს
გაზეთ „დილოგი“-ის ხელმოწერას და
გავრცელებას ახორციელებს
გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია**

2009-2010 სასწავლო წელს გამოვა „დილოგი +“ -ის 8 ნომერი (ნოემბერ-ივნისი). გაზეთის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე:

| | |
|----------------------|-----------------------|
| მიმღები | შპს „ახალი განათლება“ |
| მიმღები ბანკი | სს „ბაზისბანკი“ |
| ბანკის კოდი | 220101956 |
| ანგარიშის ნომერი | 30236563 |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 202058735 |

**გადმორიცხვის დროს, აუცილებელია, გარკვევით მიითითოს
ქალაქის, დაზის ან სოფლის დასახელება.**

სასურველია, ხელმოწერები განხორციელდეს 1 ნომბრამდე, რათა ყველა ხელმოწერმა მიიღოს „დილოგი“-ის სრული კომპლექტი. „დილოგი +“-ის საცალო ღირებულებაა **1 ლარი**, კომპლექტის ანუ გამოწერის წლიური თანხა შეადგენს **8 ლარს**.
გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს და ორგანიზაციებს.

გაზეთის გამოწერის პროცედურები:

- სკოლის დირექციამ ორგანიზება უნდა გაუწიოს გაზეთის გამოწერისთვის განაცხადებისა და თანხების მოგროვებას;
- სკოლის დირექციამ შეგროვებული თანხა უნდა ჩარიცხოს გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე. გადახდის ქვითარი და მოთხოვნების დოკუმენტი უნდა გადასცეს რესურსცენტრს;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა სკოლების მიერ წარმოდგენილი გადახდის ქვითრები და მოთხოვნების დოკუმენტები უნდა მიანოდოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციას;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უნდა ჩაიბაროს გაზეთები გამავრცელებლისგან და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციასთან (მიღება-ჩაბარების აქტები რესურსცენტრებს მიენოდება გაზეთთან ერთად, 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი პირი, არა უგვიანეს 2 კვირისა, უნდა დაბრუნდეს „ახალი განათლების“ რედაქციაში);
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უნდა მიანოდოს სკოლებს გაზეთები მოთხოვნის დოკუმენტში მითითებული რაოდენობით.

**გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის მისამართი:
თბილისი, ტაბაღაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890 958023; 877 132283
ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru**

**გაზეთის ხელმოწერის თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ
შემდეგ საბანკო ანგარიშზე:**

| | |
|----------------------|-----------------------|
| მიმღები | შპს „ახალი განათლება“ |
| მიმღები ბანკი | სს „ბაზისბანკი“ |
| ბანკის კოდი | 220101956 |
| ანგარიშის ნომერი | 30236563 |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 202058735 |

**ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია
საპარტიზოლოს ნაბისშიური ბანკიდან.**

პატივისცემით, „დილოგი +“-ის რედაქცია



კონფერენსია

ქართული ენა და XXI საუკუნის საერთაშორისო სტანდარტები



20 ოქტომბერს, განათლებისა და მეცნიერების სააქტო დარბაზში, გაიმართა საერთაშორისო ორდღიანი კონფერენცია თემაზე: **„ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“**, რომლის ორგანიზატორი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი იყო. კონფერენციაში მონაწილეობდნენ: **ნოდარ სურგულაძე** – განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, **დენის კიგი** – დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში, მომხსენებლები და სხვ.

ელექტრონულ სივრცეში ქართული ენის სრულფასოვანი ჩართვის მიზნით დაიწყო ქართული ენის მოდელირება და მასზე დაფუძნებული კომპიუტერული სისტემების შექმნა, ელექტრონული ლექსიკოგრაფიის, ენის დისტანციური სწავლების სისტემების განვითარება, ვრცელი ტექსტური მასალების განთავსება ინტერნეტში და სხვ. კონფერენციის მიზანი იყო ქართული ენის თანამედროვე ტექნოლოგიებით დოკუმენტირების, კვლევის პრობლემებისა და მათი დაძლევის გზების ძიება.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ ენებისა და დიალექტების დოკუმენტირების ახალი შესაძლებლობა შექმნა. უკვე რამდენიმე ათეული წელია, არსებობს და ვითარდება კომპიუტერული ლინგვისტიკის დარგი – კორპუსის ლინგვისტიკა, რომელიც დიდი ტექსტური მასივების დოკუმენტირებისა და კვლევის ახალ მეთოდებს გვთავაზობს. ამ დისციპლინის მეთოდოლოგიით შექმნილი ტექსტური კორპუსი ენის ან მისი ქვესისტემის მიკრომოდელს წარმოადგენს.

კორპუსი არის ამა თუ იმ ენის ტექსტების ელექტრონულად წარმოდგენილი, ვრცელი, უნიფიცირებული, სტრუქტურირებული, ანოტირებული, ფილოლოგიურად დაამუშავებული კომპიუტერული მასივი, რომელიც ალტერნატიული ენობრივი მონაცემთა მართვის სპეციალური სისტემით და შექმნილია კონკრეტული ლინგვისტური ამოცანებისთვის.

კონფერენცია გახსნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, **ლალი ეზუგბაიაძე**: „პატივცემულო სტუმრებო, ჩვენ დღეს შევიკრიბეთ საერთაშორისო კონფერენციაზე „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“, ვფიქრობთ, დაინყება ახალი ეტაპი ქართული ენის განვითარებისა და შესწავლის ისტორიაში. კონფერენციაზე ერთგვარად შეჯამდება XX საუკუნის კვლევები და დაისახება პერსპექტივები თანამედროვე ეპოქის გამოწვევათა მიხედვით. მნიშვნელოვანია ის პრობლემები, რაც ქართული ენის კომპიუტერული ტექნოლოგიების დამუშავებას უკავშირდება. გლობალური საინტერნეტო კომუნიკაციის პირობებში, საერთაშორისო ენების გვერდით სხვა კულტურული ენების

არსებობა დიდად არის დამოკიდებული ავტომატური თარგმანის პროგრამების შექმნაზე. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ხაზგასმით აღნიშნავდა ავტომატური თარგმანის მნიშვნელობას ქართული ენისათვის. მისივე ინიციატივით, ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო მათემატიკური ლინგვისტიკის სემინარები, სადაც, ლინგვისტიკებთან ერთად, მონაწილეობდნენ მათემატიკოსები და ლოგიკოსები, მიმდინარეობდა ხელოვნური ინტელექტის თეორიული საკითხების დამუშავება.

80-90-იან წლებში, კომპიუტერების გამოჩენის კვალდაკვალ, აქტუალური ხდება ქართული ენის ფორმალური სისტემების შექმნა. ამ მიზნით, ინსტიტუტშივე შეიქმნა ქართული ენის სახელური და ზმნური ფუძეების მოდულირული ელემენტების ლექსიკონები, რომლებიც, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონთან“ ერთად, გადაიქცა მონაცემთა ბაზების ფასდაუდებელ წყაროდ. 1955 წელს პრიორიტეტად იქცა კომპიუტერული ლინგვისტიკა, როგორც ქართული ენის პრაქტიკული პრობლემების თანამედროვე ტექნოლოგიებით გადაჭრის საშუალება.

შესაბამისად, ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიწყო ციკლი კონფერენციებისა – ენის კონცეპტუალური და კომპიუტერული მოდელები, რომელიც 2003 წლიდან ოდნავ სახეცვლილი გრძელდებოდა – ბუნებრივ ენათა დამუშავება, ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. ამ კონფერენციის ერთგული მონაწილეები დღესაც ჩვენ გვერდით იმყოფებიან ამ დარბაზში. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამ კონფერენციებში ენათმეცნიერების ინსტიტუტმა მოახერხა საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრში კომპიუტერული და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით მომუშავე ჯგუფების კოორდინაცია. დღეს უკვე შექმნილია ქართული ენის ფორმალური კომპიუტერული სისტემები და დღის წესრიგში დადგა ისეთი მიმართულებების განვითარება, როგორცაა ელექტრონული ლექსიკოგრაფია და ქართული ენის რაციონალური კორპუსი. ამ კონფერენციაზე პირველად მოხდება კორპუსული პროგრამების პრეზენტაცია, ერთი მხრივ, ჩვენი გერმანელი კოლეგის **იოსტ გიპერტის** ხელმძღვანელობით შექმნილი კავკასიური ენების დოკუმენტირების სახით, მეორე მხრივ, ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილი ქართული ენის დიალექტების კორპუსის სახით, რომელიც ჩვენს სინამდვილეში განხორციელებული პირველი პროექტია. ამით ჩვენი ინსტიტუტი საფუძველს უყრის, ერთი მხრივ, კორპუსის ლინგვისტიკას და, მეორე მხრივ,

ქართული ენის ნაციონალურ კორპუსს, რომლის შექმნის იდეა ასევე ინსტიტუტში დაიბადა. ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ემსახურება არა მხოლოდ სამეცნიერო ინტერესებს, არამედ, უპირველესად, ქართული ენის პრაქტიკულ ინტერესებს. ხელი შევუწყოთ ქართული ენის სწავლებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ; ნორმატიული ქართული ენის დამკვიდრებას საინტერნეტო სივრცეში და ქართული ენის სრულყოფილ ფუნქციონირებას XXI საუკუნეში. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი წარმატებული ნაბიჯის დასტურია შევადი კოლეგების და თანამემამულეების მიერ შექმნილი „ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსი“.

ქართული ენა უცხოელი მეცნიერების ძალისხმევით, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ დროის გამოწვევას მხოლოდ ენთუზიაზმით და ცალკეული სამეცნიერო გრანტებით ვერ ვუპასუხებთ. თავისთავად, რუსთაველის ფონდის დაფინანსება მისასაღებელია. ჩვენ შემდგომშიც გვაქვს დიდი იმედი ამ მხარდაჭერისა, მაგრამ არასაკმარისია იმ კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად, რაც ქართული ენის სათარგმნი პროგრამისა და ნაციონალური კორპუსის შექმნას უკავშირდება. კარგია ელექტრონული ლექსიკოგრაფიის მიმართულებით კონკურსის გამოცხადებაც, მაგრამ ერთი ლექსიკონის შექმნით სტრატეგიული პრობლემა ვერ მოგვარდება. შეიძლება ლექსიკონს ქმნიდეს ერთი ჯგუფი, მოდელს – მეორე, მაგრამ თუ არ მოხდა მათი კოორდინაცია და ერთიან პროდუქტად აწყობა, შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანური და მატერიალური რესურსების ფუჭი ხარჯვა. დადგა დრო, როცა, საგანგებო პროგრამის სახით, სახელმწიფო პატრონაჟით, უნდა დაიწყო რეზერვული ქართული ენის XXI საუკუნის საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვის მიზნით. ვფიქრობთ, ამ აუცილებლობას ხედავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რისი დასტურია ეს ერთობლივი ღონისძიება.

გამოვთქვამ იმედს, რომ ამ მიმართულებით, საქართველოს მთავრობასთან, პარლამენტთან ერთად, მნიშვნელოვანი გზები დაიხსნება. ქართული ენა ყველა დროის გამოწვევას გადაურჩა, XXI საუკუნეში თავისი პირობები წაუყენა, იმედი ვიქონიოთ, რომ XXI საუკუნეში თამამად ვისაუბრებთ ქართველები ქართული ენის ღირსებებზე და მის ძლევაგამოსილებაზე.

იმედი მაქვს, რომ დღევანდელი კონფერენცია, რომელიც პირველად საერთაშორისო მასშტაბით ტარდება, მეტი სტიმული იქნება ამ პრობლემების მოგვარების გზაზე.

ნოდარ სურგულაძე: „საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ისეთი დიდი ტრადიციების მქონე საენათმეცნიერო სკოლა, როგორც არის ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ჩართულია მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესებში, სახელდობრ, კომპიუტერული ლინგვისტიკის სფეროში. 1996-98 წლებში, ინსტიტუტში, რეგულარულად იმართებოდა კონფერენციები, ხოლო 2003 წლიდან ტარდება ყოველწლიური კონფერენცია – „ბუნებრივ ენათა დამუშავება და ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები“. XXI საუკუნეში ბუნებრივ ენათა სრულფასოვანი ფუნქციონირებისა და კვლევისათვის აუცილებელია მათი კვლევითი ინფორმაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით დამუშავება. ეს პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგას ქართული ენის წინაშე. ამ დარგის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას სა-

ერთაშორისო კონტაქტები წარმოადგენს. ამ მიმართულებით, დღევანდელი კონფერენციის ჩატარება მეტად აქტუალურია, რადგან ხელს შეუწყობს ქართული ენის კვლევას მსოფლიოში.“

დენის კიგი: „მოგესალმებით, ბუნებრივია, დღეს ცოტა ველავ და მეშინია თქვენ წინაშე გამოსვლა, რადგან მე მხოლოდ „ქართული ენის მოსწავლე“ ვარ. ამ კონფერენციას ჩემი ორი მასწავლებელიც ესწრება. ჩემი აზრით, ასეთი კონფერენციის ჩატარება მეტად მნიშვნელოვანია. როგორც ვიცი, ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მიმდინარეობს, ახალ ტექნოლოგიებს ახალი შესაძლებლობები მოაქვს. იმედი მაქვს, თქვენი მუშაობა საქართველოს მომავლისთვის წარმატებული იქნება.“

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების მოხსენებები თემებზე:

- კავკასიურ ენათა აუდიო და ვიდეორეგისტრაციის საინტერნეტო სივრცეში (იოსტ გიპერტი, მანანა თანდაშვილი);
 - კავკასიურ ენათა ტექსტური რესურსები საინტერნეტო სივრცეში (მანანა თანდაშვილი);
 - ქართული დიალექტების კორპუსი (პროექტი „საქართველოს ლინგვისტური პორტალი“ – მარინა ბერიძე, დავით ნადარაია, ლია ბაკურაძე, ნარგიზა ჯარმაგა, გიორგი ცოცანიძე, დარეჯან ჩხუბანიშვილი, მათა ბარისაშვილი);
 - ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსი (კარინა ვამლინგი, მანანა კობაიძე);
 - ქართული ენის გრამატიკის ელექტრონული სისტემა (ლალი ეზუგბაია, მარინა მანანაშვილი, რატი სირიტაძე, თეოდორეაძე).
- კონფერენციაზე პროექტების პრეზენტაციები გაიმართა:

ფრანკფურტის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიური კვლევების ხელმძღვანელის, იოსტ გიპერტის თაოსნობით, რამდენიმე საერთაშორისო გრანტის მეშვეობით აუდიო-ვიდეო-ტექნიკით ჩანერილ იქნა საქართველოში გავრცელებული კავკასიური ენების, ასევე ქართული ენების დიდი მოცულობის ტექსტური მასალა. მათი კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიით დამუშავების შედეგად შესაძლებელია ამ ტექსტური კორპუსის განთავსება საინტერნეტო სივრცეში. პოტენციური მომხმარებლები იქნებიან როგორც მეცნიერ-კვლევანები (მათ შორის ინტერდისციპლინური კვლევა), ასევე ნებისმიერი ამ ენებით დაინტერესებული პირები.

მომხსენებელმა წარმოადგინა პროექტის როგორც მეთოდოლოგიურ-ტექნოლოგიური მხარე, ასევე ენობრივი მასალის აღწერა.

პროექტი „საქართველოს ლინგვისტური პორტალი“ ფინანსდება ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების – არუსთაველის ფონდის“ მიერ და ითვალისწინებს ქართული ენის დიალექტიკების კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდებით დოკუმენტირებას.

კორპუსული ლინგვისტიკა კომპიუტერული ლინგვისტიკის ახალი დარგია. გულისხმობს დიდი მოცულობის ტექსტური მასივების ისეთ პროგრამულ ორგანიზებას, რომ ტექსტების უბრალო ერთობლიობა იქცეს ერთ დიდ ინფორმაციულ-საცნობარო და სასწავლო სისტემად.

„ქართული დიალექტების კორპუსში“ თავმოყრილია ქართველ მეცნიერთა მიერ 100 წლის განმავ-

ლობაში მოპოვებული დიალექტური ტექსტები (გამოკვეყნებული და საარქივო მასალა), არნოლდ ჩიქობავას ინსტიტუტში დაცული სხვადასხვა დროს ჩანერილი აუდიომასალა (1962 წლიდან) აგრეთვე პროექტის სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ტექსტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ირანში, თურქეთსა და აზერბაიჯანში.

საძიებო სისტემა კორპუსში ისეა ორგანიზებული, რომ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფართო მულტიდისციპლინარული თვალსაზრისით. კორპუსი წარმოადგენს XX საუკუნის ზეპირ მატყიანეს. დღეიდან ამ მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილს დაიმკვიდრებს საინტერნეტო სივრცეში და ხელმისაწვდომი გახდება ფართო საზოგადოებისათვის.

„ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსი“, უკვე რამდენიმე წელია, მალმოს (შვედეთი) უნივერსიტეტის პროფესორმა – **კარინა ვამლინგმა, მანანა კობაიძემ და რევაზ ჭანტურამ** შექმნეს. დღეს კურსი უკვე საკმაოდ პოპულარულია და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჰყავს მსმენელები.

ქართული ენის დისტანციური სწავლის მსურველები ჯერჯერობით უცხოელები არიან, თუმცა ის ისეა შედგენილი, რომ შესაძლებელია მისი აქტიური ჩართვა დასახორების ქართველთათვის დედაენის სასწავლებლადაც. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ კურსით დაიწყო ქართული ენის შესწავლა ბრიტანეთის სამეფოს ელჩმა საქართველოში.

„ენის მოდელირების ასოციაციისა“ და არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლობით შეიქმნა ქართული ენის ფორმალური მოდელი, რის მიხედვითაც აიგო ქართული ენის გრამატიკის ელექტრონული სისტემა, ქართული ენის მართლწერის შემოწმებული კომპიუტერული პროგრამა. ამჟამად, მიმდინარეობს სინტაქსურ ანალიზატორზე მუშაობა. მომხსენებელმა კონფერენციაზე წარმოადგინა განუყოფელი სამუშაო ეტაპების მიხედვით შექმნილი პროდუქტების მოკლე ანოტაცია და სამომავლო ამოცანები, რაც საბოლოოდ მოემსახურება მთავარ მიზანს – ქართული ენის სათარგმნი პროგრამის შექმნას.

მეორე დღეს კონფერენცია არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში გაგრძელდა. მოხსენიებით გამოვიდნენ: **კარინა ვამლინგი, იოზა დალი, მანანა კობაიძე**. მათი მოხსენების თემა იყო **„კავკასიური ენების მონაცემთა ბაზა“**, რომელიც რამდენიმე წლის წინ შეიქმნა ლუნდის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ეს იყო რამდენიმე კავკასიური ენის მორფოლოგიური კატეგორიების აღწერის ცდა. ბაზის მომხმარებელად ივარაუდებოდნენ ენათმეცნიერები და, აგრეთვე, ენის ზოგადი საკითხებით დაინტერესებული არასპეციალისტები.

ბაზა შეიქმნა მცირე მოცულობის მასალაზე. დაახლოებით, ექვსასი წინადადებაა წარმოდგენილი, კერძოდ, ქართულ, მეგრულ, ყაბარდოულ და ადიღურ ენებზე. მასალა აღებულია გამოკვეყნებული სტატიებიდან.

მიზანი იყო, შექმნილიყო ამ ენებში არსებული მორფოლოგიური კატეგორიების მომცველი გლოსირების სისტემა. გლოსირება მთლიანად ხელით განხორციელდა.

საუბრაჲი ლიტერატურაჲა

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან

სიმბოლიზმი (წერილი პირველი)

XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის პირველი ნახევარი ევროპულ ლიტერატურაში აღინიშნა ლიტერატურულ სკოლათა, მიმდინარეობათა თუ დაჯგუფებათა მოზღვაობით. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ განსხვავებული მსოფლმხედველობრივი თუ შემოქმედებითი პრინციპების მქონე ლიტერატურული გაერთიანებანი. მათი მრავალრიცხოვნება და მრავალფეროვნება უშუალო შედეგია იმისა, რომ აღარ არსებობდა ერთიანი მსოფლმხედველობრივი საფუძველი (საუკუნეების მანძილზე ამგვარ საფუძველს ქმნიდა ქრისტიანული მსოფლმხედველობა) და ყოველი შემოქმედებითი გაერთიანება ცდილობდა, შეექმნა შეხედულებათა ახალი სისტემა და მოექმნა გამომსახველობის შესაფერისი საშუალებანი. ამ მიმდინარეობებს აერთიანებს ზოგადი სახელწოდება „მოდერნიზმი“. მიუხედავად იმისა, რომ მოდერნიზმის ფარგლებში ექცევა ბევრი ურთიერთდაპირისპირებული სკოლა და ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია, მაინც შესაძლებელია მსჯელობა საერთო მოდერნიზმულ მსოფლმხედველობასა თუ სულისკვეთებაზე, რომელმაც მოიცვა ეს ეპოქა.

პირველი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელშიც გამოიკვეთა მოდერნიზმის პრინციპები, არის სიმბოლიზმი. სიმბოლიზმმა დიდი ხნით განსაზღვრა მსოფლიო ლიტერატურის განვითარების მიმართულება და ყოველი ლიტერატურული სკოლა, რომელიც შემდგომ წარმოიშვა მოდერნიზმის ეპოქაში, თავის პოსტულატთა სათავეს სწორედ სიმბოლიზმურ შემოქმედებაში პოუვდა, ამიტომ, როცა ქართველი პოეტების წინაშე დადგა ქართული პოეზიის განახლების ამოცანა, თავიანთი მიზნები მათ სიმბოლიზმს დაუკავშირეს.

ეს მიმდინარეობა იმდენად მრავალმხრივი და მრავალპლანინიანი, რომ თითქმის შეუძლებელია მისი ზუსტი განსაზღვრების ჩამოყალიბება. ტიცინ ტაბიძე ქართველ სიმბოლიზმთა საპროგრამო წერილში („ცისფერი ყანწები“) იმონებდა ფრანგი ესსეისტის რემი დე გურმონის სიტყვებს, რომლის მიხედვითაც სიმბოლიზმი უკავშირდება შემოქმედების თავისუფლებას, ინდივიდუალურ ლიტერატურაში, დასწავლილი ფორმულების უარყოფას, სოციალური რიგი ფაქტორების უგულვებელყოფას, მოვლენათა არსებითი ნიშნების გამოხატვის სურვილს. სიმბოლიზმის ერთი, ყველასათვის მისაღები დეფინიცია არ შემუშავებულა იმის გამოც, რომ ეს მიმდინარეობა იმთავითვე აცხადებდა თავის პრინციპებად განუსაზღვრელობას, ირაციონალობას, არაცნობიერი და არასიტყვიერი (ავერბალური) არსის წვდომას. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ძნელად თუ გამოიხატება ზუსტი განსაზღვრების მეშვეობით.

იმ ავტორთა შორის, რომელთა შემოქმედებამაც გამოიკვეთა სიმბოლიზმის სახე, უპირველესად ასახელებენ ფრანგ პოეტებს: შარლ ბოდლერს, პოლ ვერლენს, სტეფან მალარმეს, არტურ რემბოს. აქვე უნდა ითქვას, რომ თუ გვსურს, მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მიმდინარე-



სხედან I რიგში: ნ. მინიშვილი, თ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, მ. შანშიაშვილი; II რიგში: ვ. გაფრინდაშვილი, ე. ლეონიძე, გ. ქიქოძე, პ. იაშვილი, ნ. ტაბიძე, ა. არსენიშვილი; დგანან: რ. გვეტაძე, შ. აფხაიძე, ტ. ტაბიძე, ლ. ჯაფარიძე, გ. ლეონიძე

ობაზე, უნდა გავცდეთ ლიტერატურის საზღვრებს და გავითვალისწინოთ იმ ეპოქის ფილოსოფიური ნააზრევი (ა. შოპენჰაუერის, ფრ. ნიცშეს, ე. ფონ პარტმანის შეხედულებები). „სიმბოლიზმი“, როგორც ლიტერატურული ტერმინი, დაამკვიდრა ჟან მორეასმა „სიმბოლიზმის მანიფესტში“ (1886 წ.) ამ დროისათვის სიმბოლიზმი უკვე გასცდა დიდ პოეტთა ინდივიდუალური შემოქმედების ფარგლებს (ბოდლერის „ბოროტების ყვავილები“ – პოეტური კრებული, რომელმაც გარდატეხა მოახდინა ლიტერატურაში – გამოიქცა ჯერ კიდევ 1857 წელს) და იქცა ევროპული ლიტერატურის საზოგადო მოვლენად, შეიქმნა შემოქმედებითი დაჯგუფებები, რომლებიც სიმბოლიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციას უწყობდნენ ხელს. ფრანგი პოეტები: ჟიულ ლაფორგი, ტრისტან კორბიერი, პოლ კლოდელი, ფრანსის ჟამი, ლოტრეამონი, რენე გილი; ბელგიელი ავტორები: პოეტი ემილ ვერპარნი და დრამატურგი მორის მეტერლინიკი თავიანთ შემოქმედებაში ხორცს ასხამენ სიმბოლიზმის მსოფლმხედველობრივ და მხატვრულ პრინციპებს.

რუსულ ლიტერატურაში სიმბოლიზმის განვითარება დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან მწერლებთან, როგორცაა, ვალერი ბრიუსოვი, ვიარჩესლავ ივანოვი, ალექსანდრ ბლოკი, ანდრე ბელი, კონსტანტინ ბალმონტი, ფიოდორ სოლოგუბი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლიზმის რუსული მოდელი გამდიდრებულია რელიგიური აღორძინების იდეებით, ნეოქრისტიანული იდეალებით და სცდება ევროპულ ლიტერატურაში მისთვის მოხაზულ საზღვრებს.

ქართულ ლიტერატურაში სიმბოლიზმი უკავშირდება, ერთი მხრივ, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას, ხოლო მეორე მხრივ – ლიტერატურული ორდენის „ცისფერი ყანწების“ მოღვაწეობას. რასაკვირველია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზია სიმბოლიზმის გენიალური ხორცმესხმაა, ცისფერყანწელთა წრეში არ ყოფილა ასეთი მასშტაბის პოეტი, მაგრამ ამ სიმბოლიზმური გაერთიანების, ფაქტობრივად, პირველი ქართული ლიტერატურული სკოლის არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი მწერლობისათვის. „ცისფერყანწელები“ თავიანთი სკოლის შექმნას აკავშირებენ „ორდენის კარდინალის“ – გრიგოლ რობაქიძის სახელთან. „პირველი მოციქული სიმბოლიზმის სიტყვიერად ქადაგებდა მოდერნიზმის სახარებას“ (გალაკტიონ ტაბიძე), მის გარშემო შემოიკრიბნენ „ცისფერყანწელები“: პაოლო იაშვილი, ტიცინ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, რაჭუნ გვეტაძე, გიორგი ლეონიძე, ნიკოლო მინიშვილი, სანდრო ცირეკიძე, შალვა აფხაიძე, შალვა კარმელი, გიონ საგანელი, სერგო კლდიაშვილი. „ცისფერი ყანწები“, როგორც ლიტერატურული გაერთიანება, ოფიციალურად გაფორმდა 1916 წელს, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლით, თუმცა 1915 წლისათვის ჯგუფის ძირითადი ბირთვი უკვე შეკრული იყო. 1916-24 წლებში ამ სკოლის სახელით გამოდიოდა ჟურნალები: „ცისფერი ყანწები“, „შვილდოსანი“, „მეოცნებე ნიამორები“; გაზეთები: „ბარკადი“, „ბახტრიონი“, „რუბიკონი“; ცისფერყანწელთა პოეტური კრებულები: ვ. გაფრინდაშვილის „დაისები“, კ. ნადირაძის „ბალდახინი“, რ. გვეტაძის „ვირების მესია“, შ. კარმელის „ბაბილონი“ და „სემირამიდის ბაღი“, გ. საგანელის „დრუმო“; ს. ცირეკიძის პროზაული მინიატურების კრებული „მთვარეულები“ – უახლესი ქართული ლიტერატურის ფორმირებას

უნყოფს ხელს. ქართველ სიმბოლიზმთა უაღრესად მაღალ ლიტერატურულ გემოვნებასა და ესთეტიკურ კულტურაზე მიგვიჩვენებს მათი ესსეისტური მემკვიდრეობა. „ცისფერყანწელთა“ მხატვრული თარგმანები, ძირითადად, სიმბოლიზმთა პოეზიის მოიცავს. მათი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე პოპულარიზაცია ეწეოდა ფრანგი თუ რუსი სიმბოლიზმების შემოქმედებას. ქუთაისში, ს. ცირეკიძის გამომცემლობაში („კირჩხიბი“) მაღარმეს ლექსთა მომცრო კრებულები კი გამოიქცა ქართულ ენაზე. „ცისფერყანწელებს“ ჩვენს კულტურულ სივრცეში შემოქმედებით უცხოური პოეზიის შედეგები და ამასთან ერთად წარმოაჩენდნენ იმ ლიტერატურულ არეალს, რომელთან მიმართებაშიც უნდა აღქმულიყო მათი ორიგინალური შემოქმედება.

„ცისფერყანწელთა“ ორდენის მოღვაწეობის ყველაზე აქტიური პერიოდი თანხვედა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებს. სოციალისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ „ცისფერ ყანწებს“, ისევე როგორც მთელ ქართულ ლიტერატურას, აღარ ჰქონია განვითარების თავისუფალი ასპარეზი. 1925 წელს ორდენის ყველაზე ორთოდოქსმა წევრმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, წამოაყენა „მინასთან დაბრუნების“ ლოზუნგი, რითაც, ფაქტობრივად, განაცხადა, რომ ქართველი პოეტები, ნებით თუ უნებლიედ, უარს ამბობდნენ თავიანთ შემოქმედებითს პრინციპებზე. 1932 წელს „ცისფერი ყანწები“ ოფიციალურად გამოცხადდა დაშლილად. ქართველ სიმბოლიზმთა პოეტური ნიჭი ახალი კუთხით გაბრწყინდა მათი შემოქმედების რეალისტურ პერიოდში, მაგრამ „ცისფერი ყანწები“ მაინც რჩება არა მხოლოდ მათი შემოქმედების, არამედ მთელი უახლესი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ეტაპად.

კელა ნიჭურია

შარლ ბოდლერი

სულისაქრება

ნალველო ჩემო, გონს მოუხმე, წყნარად იყავი! შენ მოითხოვდი მწუხრს და აი, ისიც ეშვება, ქალაქს ნელნელა ეფინება ჩრდილები შავი, ზოგისთვის მოაქვს სატანჯველი, ზოგისთვის შვება.

მაშინ, როდესაც მოკვდავების სიმრავლე ავი, სასტიკ ჯალათის – ტკბობის შოლტი რომ ერეკება, ლამობს მონური ზეიმებით იგვემოს თავი, ჩემო ნალველო, მომეც ხელი! განცალკევება

ჯობია მათგან, ხედავ, აი მიცვლილი წლები ცის აივნებზე ძველ კაბებით გამოსულები; ხედავ სინანულს, წყლის სიღრმიდან ამომლიმარეს...

ხიდის თაღებქვეშ მომაკვდავი მზე თვალებს ლულავს... და ვით გრძელ ზეწარს, გაცოცხლებულს აისის მხარეს, უსმინე, ჩემო, ღამეს ჩვენსკენ უჩუმრად მცურავს.

(წიგნიდან „ბოროტების ყვავილები“) თარგმანი დავით აკრინისა



ტიცინ ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი

პოლ პერლინი

ღმერთო, შენი სიყვარულით უმოწყალოდ დამჭერ, და ჭრილობა თრთის და დღემდე ვერ შეიკრა პირი, ღმერთო, შენი სიყვარულით უმოწყალოდ დამჭერ!

შენი რისხვა, შენი შიში თავს დამატყდა, ღმერთო, დაღდასმული სული კენესის, სად გაუდგამს ფესვი, შენი რისხვა, შენი შიში თავს დამატყდა, ღმერთო!

ეს სოფელი მუხთალია, მე შევიცან ბოლოს, შენთან მოვედ და დიდება დღეს ვირწმუნე შენი, ეს სოფელი მუხთალია, მე შევიცან ბოლოს!

სული ჩემი აზიარე შენი წმინდა ღვინით, შენს კურთხეულ მაგიდაზე პურის ნაჭრად დამდე, სული ჩემი აზიარე შენი წმინდა ღვინით.

აი, ჩემი დღევანდლამდე დაუღვრელი სისხლი, აი, ჩემი ნატანჯი და დაღმეჭილი ხორცი, აი, ჩემი დღევანდლამდე დაუღვრელი სისხლი.

აი, ჩემი დღეს სირცხვილით ალენილი შუბლი, გქონდეს კიბის საფეხურად, ზედ დაადგი ფეხი, აი, ჩემი დღეს სირცხვილით ალენილი შუბლი.

აი, ჩემი დღევანდლამდე გაურჯელი ხელი, შენ კალაპატარს რომ გინთებდეს და გიკმევდეს გუნდრუკს, აი, ჩემი დღევანდლამდე გაურჯელი ხელი.

აი, ფუჭად დამაშვრალი, მკერდს შემსკდარი გული, რომ ენამოს და ეკლიან გოლგოთაზე თრთოდეს, აი, ფუჭად დამაშვრალი, მკერდს შემსკდარი გული.

აი, ჩემი ორი ფეხი, ორი პილიგრამი, რომ მიხმო და შენს ძახილზე მომიყვანონ შენთან, აი, ჩემი ორი ფეხი, ორი პილიგრამი.

აი, ჩემი ხმა მაცდური, მწუხარებით სავსე, რომ ტკივილით გავამხილო სამღურავი სოფლის, აი, ჩემი ხმა მაცდური, მწუხარებით სავსე.

აი, ჩემი ორი თვალი – ეს სანთლები ცოდვის, გულმზურვალე ლოცვის ცრემლმა რომ ჩაუქროს ცეცხლი, აი, ჩემი ორი თვალი – ეს სანთლები ცოდვის.

შენ, ცოდვილთა ნუგეშო და მწყალობელი ღმერთო, მე ასეთი უმადური რისთვის მშობე, მითხარ, შენ, ცოდვილთა ნუგეშო და მწყალობელი ღმერთო!

ღმერთო ჩემო, მრისხანეო და სინმინდის ღმერთო, დამანახე ბნელ უფსკრულში ჩემი ცოდვის ფსკერი, ღმერთო ჩემო, მრისხანეო და სინმინდის ღმერთო!

შენ, სამოთხის, სიხარულის და მშვიდობის ღმერთო, ჩემი შიში, ჩემი გვემა, უმეცრება ჩემი, შენ, სამოთხის, სიხარულის და მშვიდობის ღმერთო,

იცი, რადგან დამყურებ და მხილველი ხარ ყოვლის, გლახაკის და უპოვარის ნამება და ჯვარცმა იცი, რადგან დამყურებ და მხილველი ხარ ყოვლის,

მაგრამ მაინც შენთან მომაქვს და შენ გწირავ, რაც მაქვს.

ჩემს სულს აწვიმს...

ჩუმად აწვიმს ქალაქს. არტურ რემბო რა უსიტყვო ნაღველს მალავს სული, ჩემი მუფე, სულსაც აწვიმს, როგორც ქალაქს, ანდა მის გარეუბნებს.

აწვიმს მიწას და სახურავს და შრილით ავივსე, სევდა სულში ჩასახული უკრავს წვიმის კლავიშზე.

ცხოვრობს სულით ეს ობლობა ჩუმი წვიმის მუზობლად, სულში ჩაჯდა ვით ობობა, სევდის უმიზეზობა.

და მით უფრო არის მძაფრი უმიზეზო ნაღველი, არსაიდან რომ არაფრით არის ნაკარნახევი.

თარგმანი გივი გეგეჭკორისა

წიგნიდან „უსიტყვო რომანსები“

ტოტის სიმაღლიდან ბუღბუღი იცქირება მდინარეში და იმას ჰგონია, რომ შიგ ჩავარდა. ის მუხის მწვერვალზეა და მინც ეშინია დახრჩობის.

სირანო დე – ბერუერაკ

ხეების ჩრდილი ჩაიძირა, ისე ვით გლოვა, ბნელ მდინარეში. ნამდვილ ტოტებში დაიკვნესეს გვრიტების გროვა სიმწუხარეში.

მგზავრო! მკრთალი ხარ და მკრთალია შენივე მზგავსი ირგვლივ ბუნება! შენ ფოთლებიდან იმედები დაგტირის თავზე და მოდუნება!

თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა

გრიგოლ როზაძე

სონეტი ლოცვის

ახალ მხედართ: ვ. გაფრინდაშვილს, პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, გ. ტაბიძეს.

უძირო სევდა, ნელი სევდა, ვით ძილი ქვისა, ფიცხელი ფიქრის, მწვავი ფიქრის წითელი გზნება, უნისლო ტევრი, ხშირი ტევრი უსიტყვო თქმისა დამწვარი თვლებმა: მყუდრო მკრთალი, დამწვარი ვნება.

ყვავილი ტრფობის, თეთრი, ნაზი, ცახცახობს, ჭკნება ნაჩქეფი აღარ ათრობს სმენას ძვირფასი ხმისა, შორიდან ესმის ფიცხელ ლოდინს ხმაური ღვთისა, იშლება სული, ერთი ნდობით ნელდება ნება.

უფალო, ოი, მშვიდო, ლალო, მალალო, წყნარო, ჩაეშვი ჩემი სულის თასში, ვით გრილი წყარო, იხსნება შენთვის გული ჩემი, სათუთი ნელი.

ვენაფი ფიცხი შენი სუნთქვის მათრობელ ალსა, ნეტარობს შენით ჩემი კრთომის ყოველი წნელი, გიცქერი მზე-გრძელს, ერთი წამით დაგხუჭავ თვალსა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ინფორმაცია

„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“

გასულ სასწავლო წელს, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, დაიწყო ინტელექტუალური თამაში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა მსურველი სკოლა. კონკურსი ხუთ ეტაპად გაიმართა: სასკოლო, სარაიონო, ზონური, ნახევარფინალური და ფინალური. მონაწილეობა 1200-ზე მეტმა სკოლამ მიიღო, მათ შორის სურამის ლესია უკრაინკას სახელობის №3 საჯარო სკოლამ, გუნდი „კანდელი“, VI-VIII კლასების ასაკობრივი ჯგუფი.

გუნდის წევრები: **რომან მღებრიშვილი** – კაპიტანი, **მამუკა ბლიაძე**, **ილია მელაძე**, **ლილია ზაქარაშვილი**, **მარიამ ტაბატაძე**, **პაატა ქურდაძე**, **ჯონი ხაჩიძე**.

რელიგიის პედაგოგის, **მანანა ჩაგუნავას** თადაუზოგავმა შრომამ და მოსწავლეთა უზომო მონდობებამ შედეგი გამოიღო – გუნდმა ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ფინალი სამების საკათედრო ტაძარში ჩატარდა. მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გამარჯვებული ექვსი გუნდი, თამაში საპატრიარქოს არხით გადაიდა.

გუნდს ამხნეებდა და სათამაშო განწყობას უქმნიდა გულმემატკივართა გუნდი, რომელიც დაკომპლექტებული იყო მგალობელი და მოცეკვავე მოსწავლეებით (ხელმძღვანელები: **ნინო ხარაზიშვილი**, **მაია თათარაშვილი**, **ალბერტ ძიძიგური**), რომლებიც დაჯილდოვდნენ საპატრიარქოსთან არსებული სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის სიგელებით.

სურამის №3 საჯარო სკოლის გუნდმა მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა და ტაო-კლარჯეთის მოლოცვის საგზურით დაჯილდოვდა.

მანანა ჩაგუნავა, გუნდ „კანდელის“ ხელმძღვანელი, რელიგიისა და ისტორიის პედაგოგი: „უპირველეს ყოვლისა, უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს, მეუფე სტეფანეს, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის



თანამშრომლებს ამ საინტერესო, ეროვნული პროექტისთვის. ბიბლიის წიგნების კითხვამ და შესწავლამ შევძლებს უფლის მეტი სიყვარული შესძინა, უფრო გაძლიერდნენ რწმენაში.

მართალია, ჩვენ ორი ქულით დავმარცხდით პირველ ადგილზე გასულ გუნდთან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ადგილზე

გასული სკოლა სასულიერო გიმნაზიაა. ამდენად, გუნდის შედეგით კმაყოფილი ვარ. ალბათ, არ არსებობს ქრისტიანი, რომელიც არ იცნებობს წმინდა ადგილების მოლოცვაზე. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემს საყვარელ მოსწავლეებთან ერთად ვიმოგზაურებ უძველეს ქართულ მინაზე. ვფიქრობ, ეს მოგზაურობა მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იქნება.“

რომან მღებრიშვილი, გუნდის კაპიტანი: „მეორე ადგილზე გასვლა 1200 სკოლას შორის საკმაოდ დიდი წარმატებაა, მაგრამ ვფიქრობ, ჩემს გუნდს მეტის მიღწევაც შეეძლო. ძალიან ბევრი ვიმუშავეთ, ბიბლიის მრავალი წიგნი, ფაქტობრივად, ზეპირად დავისწავლეთ და, ალბათ, პირველ ადგილს ვიმსახურებდით, მაგრამ გამოუცდელიობამ და შიშმა თავისი შედეგი გამოიღო.

პროექტში მონაწილეობას ნელსაც ვაპირებთ და აუცილებლად პირველ ადგილზე გავალთ. გავითვალისწინებთ რა წინა წლის შეცდომებს, გავამრავლებთ ჩვენს ცოდნას ბიბლიის შესახებ და კვლავ ვასახელებთ ჩვენს სკოლას.

საკუთარი გუნდით ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ არა მათი და ჩვენი საყვარელი მოსწავლეების თავგანწირული შრომა ამ წარმატებას ვერ მივაღწევდით.“

მამუკა ბლიაძე, გუნდის წევრი: „ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ კონკურსის საშუალებით, ბიბლიიდან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. პროექტის მიზანიც ეს იყო. ახლა უფრო მეტად ვარ დაინტერესებული ბიბლიით და მის კითხვას აღარ შევწყვეტ.“

სურამის №3 საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგები და მშობლები მადლობას უხდებიან საპატრიარქოსთან არსებულ სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრს და უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს ამ შესანიშნავი პროექტისთვის.

18-21 ოქტომბერს გუნდმა „კანდელი“ ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა.

ნინო ხედეღიძე

სურამის ლესია უკრაინკას სახელობის №3 საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე, ჟურნალისტიკის წრის წევრი



კლასის დამრიგებელი

...სადაც მესამე ნამდვილად შედგება – გულახდილობით დაძლიერი სირთულეები



ლია ჩხაიძე №32 საჯარო სკოლა

ვარ VIII კლასის დამრიგებელი, თან ამ კლასს ქართულ ენასა და...

ჩემი კლასი ქართულში გაყოფილია. ყოფილა შემთხვევა, როცა...

სპეციალურად დაგეგმილი „კლასის საათის“ დროს ვიღრევი სასაუბრო თემას.

მოგესხნებათ, მოზარდობის ასაკში განსაკუთრებულად მძაფრია...

ნიშანდობლივია და ბუნებრივიც, რომ წლებთან ერთად...

თითქოს პატარებთან მუშაობა უფრო ადვილია, მაგრამ ჩემ შემთხვევაში...

პარალელურ კლასებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ჩემი კლასია...

ვატარებ ხოლმე ჯგუფურ მუშაობას, ისევე ვუტარებ მათაც. ჯგუფურად...

ყოველ დღით 15 წუთით ადრე მოვივიარ სკოლაში და გაკვეთილებს...

სკოლამ შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს ყველა მოსწავლის ინტერესები...

ჩვენს საზოგადოებაში ურთიერთობის პრობლემა და დიალოგის, პოლემიკის...

ჩემი ბავშვების შესახებ წერილობითი დახასიათება ერთადერთხელ დაწერე, მე-6 კლასის დასრულების შემდეგ...

თავისი მეგობარიც ჩვენთან გადამოიყვანა. ასე რომ, ორი საუკეთესო გოგონა დაგვემატა.

საგნების პედაგოგებისგან სისტემატური ინფორმაცია მაქვს კლასის აკადემიური მოსწავლის თაობაზე...

დამრიგებლის მოვალეობა ძალიან საპასუხისმგებლოა. ათასგვარი ტიპის პრობლემა შეიძლება...

ჩვენს საზოგადოებაში ურთიერთობის პრობლემა და დიალოგის, პოლემიკის კულტურის დეფიციტია...

ჩემი ბავშვების შესახებ წერილობითი დახასიათება ერთადერთხელ დაწერე, მე-6 კლასის დასრულების შემდეგ...

სპორტი



რუსეთის ძარბაქი რეპორტაჟი

მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველი ნახევარმცველი ვანო ანანიძე რუსეთის პრემიერ-ლიგის ყველაზე ახალგაზრდა მეგობარია - 17 წლის და 8 დღისა. მან ისტორიული გოლი კვირას „ლუჟნიკებზე“ გაიტანა, როცა „სპარტაკმა“ მოსკოვურ დერბოში მალაზ ასათიანის „ლოკომოტივს“ 3:0 მოუგო. ამ შეხვედრაში ანგარიში სწორედ ანანიძემ გახსნა. არც ისე ტანმალაღმა (170 სმ) შემტევა გოლი თავით გაიტანა. საყურადღებოა, რომ მწვრთნელმა ვალერი კარპინმა ქობულეთელი ანანიძე ძირითად შემადგენლობაში დააყენა. მოგვიანებით ის სულაც ცენტრში გადაიყვანა და გამთამაშებლობა დაავალა ანუ ექსპერიმენტი ჩატარა, რასაც ანანიძემ ჩინებულად გაართვა თავი. არადა, ის ახალი დაბრუნებული იყო ახალგაზრდული ნაკრების თამაშიდან, რომელიც ჩერნოგორიაში გაიმართა. ამის მიუხედავად, კარპინი მაინც ენდო ჩვენებურს და ანანიძემაც გაუმართლა - თავისი პირველი გოლი გაიტანა, ანგარიში გახსნა და ლიგის რეკორდსმენიც გახდა. აქამდე ეს რეკორდი მოსკოვისავე არმიელ ალექსანდრ სალუგინს ეკუთვნოდა, რომელმაც პირველი გოლი 17 წლისა და 27 დღისა გაიტანა.

ანანიძეს რეკორდები მოუმრავლდა. საქართველოს ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა ნეკრი ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ჯერ ეროვნულ ნაკრებში იასპარეზა, მერე ახალგაზრდულში და 19-წლამდელებში. ბოლო მიღწევა იმანაც გამოიწვია,

რომ ნიჭიერ ქართველს რუსეთის ნაკრებშიც ინვესტირებდნენ და ეს გარიგება რომ ჩაეშალათ, სასწრაფოდ ათამაშეს საქართველოს ნაკრებში. ამით ჩვენმა ფედერაციამ ანანიძე ძალით ნაგლიჯა „ორთავა არწივს“ და სამუდამოდ დაიბევა - მთავარ გუნდში ნათამაშები ფეხბურთელი, ფედერაციის თანხმობის გარეშე, სხვა ქვეყნის ნაკრებში ვერ ითამაშებს. ამდენად, რუსებს მისი გადაბირების საშუალება მოეპოვოთ, თორემ საამისოდ არაფერზე იხედნენ უკან. რუსული პასპორტის უსწრაფესად გაკეთებას და კლუბის ძირითად შემადგენლობაში გარანტირებულ ადგილს ხომ ჰპირდებოდნენ, ყველანაირად უშლიდნენ ხელს საქართველოს ნაკრებში მის გამოგზავრებას და ეს საქმე საბუთების გაუფორმებლობის გამო რამდენჯერმე გადაუდეს კიდევ. საბედნიეროდ, დედით რუსმა ანანიძემ საქართველოს ნაკრები დაბრუნებზე არ გაცვალა.

ბაქრაძის ფინური დებიუტი

ქართულმა კალათბურთმა ევროპის ერთ-ერთი მონივრე ლიგის - ფინეთის კარი შეაღო. სეზონის წინ ლაჰუსა „კორიკორატმა“ საქართველოს წაბუთა ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ წევრი, 18 წლის გივი ბაქრაძე გადაიბირა, რომელიც კარგად მოერგო გუნდს. იქაურ ჩემპიონატში მისი დებიუტი ტრავმის გამო ცოტა გადაიდო, მაგრამ ამ დღეებში ესეც შედგა და წარმატებითაც - ბაქრაძის თანაგუნდელებმა „კერავანს“ 84:71 მოუგეს, გამარჯვებაში კი საქმაოდ დიდი წვლილი ჩვენებურმა შეიტანა. მან თამაში სასტარტო ხუთუბლში დაიწყო და 8 ქულით, 2-2 მოხსნა-პასითა და 3 ჩაჭრილი დაასრულა.

სკოლების პირველი ჩემპიონატი

მოსწავლეთა შორის საქართველოს პირველმა ჩემპიონატმა ჭადრაკში სტარტი 5 მაისიდან აიღო და მთელი საქართველო მოიცვა. ჩემპიონატში 300-მდე სკოლის 1200-მდე მოსწავლე ჩაერთო. გუნდური ჩემპიონატი 2 ეტაპად (რეგიონალური და დასკვნითი ტური) და 7 ტურად ჩატარდა. გუნდები 2 შედგებოდა 3 ვაჟისა და 1 გოგონასგან. პრიუქტი განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, „მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის



ფარგლებში.

17 ოქტომბერს, ეროვნული ბანკის შენობაში, ჭადრაკში მოსწავლეთა შორის საქართველოს პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულები გამოვლინდა.

I ადგილი - ქუთაისის №21 საჯარო სკოლა;

II ადგილი - თბილისის №25 საჯარო სკოლა;

III ადგილი - გორის №2 საჯარო სკოლა; გამარჯვებულ გუნდებს მინისტრის პირველმა მოადგილემ ირინა ქურდაძემ და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ თასები, მედლები, დიპლომები და პორტატული კომპიუტერები გადასცეს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ ფულადი პრიზებით დააჯილდოვა საუკეთესო მაჩვენებლის მქონე გუნდების მწვრთნელები და საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ერთი მოსწავლე.

ჭაბუკთა საპირფარეო ბაპპირვეს

რეგიონალური პირველობების შემდეგ ჭაბუკთა ძიუდოსტებმა ქვეყნის პირველობა ჩატარეს, რითაც საგაისო სეზონისთვის მზადებასაც შეუდგნენ. ქვეყნის ჩემპიონები და მედალოსნები ხომ ნაკრებში მოსახვედრად დიდ განაცხადს აკეთებენ, ნაკრებმა კი გაისად ევროპის ჩემპიონატზე უნდა იჭიდაოს. თუმცა ჭაბუკებს კიდევ ერთი სერიოზული ტურნირი ელოდებოდა - აგვისტოში სინგაპურში ახალგაზრდობის I მსოფლიო თამაშები იმართება, ოღონდ იქ მხოლოდ ერთი ქართველი თუ იჭიდავეს - ორგანიზატორთა მეტად უცნაური გადაწყვეტილებით, თითო ქვეყანას მხოლოდ ერთი მონაწილის გამოყვანა შეუძლია. მისი შერჩევა უკვე მთავარი მწვრთნელის პრეროგატივაა.

საქართველოს ჩემპიონატს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიამ უმასპინძლა. ნორჩმა ფალანგებმა ნაკრებში მოსახვედრად თავი არ დაზოგეს და ტრადიციულად დაძაბული, აზარტული და უინიანი ორთაბრძოლები გააჩაღეს. ორდღიანი ტურნირის შემდეგ საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: ილია შუბითიძე (34, აფხაზეთი), ბექა ნათათალიშვილი (38, დედოფლისწყარო), ბაჩანა ბოლქვაძე (42, აჭარა), ივანე ჯავახიშვილი (46, შიდა ქართლი), თამაზ კირაკოზაშვილი (50, კახეთი), ვალერი ახვლედიანი (55, ქვემო ქართლი), აპოლონ ზურაბიანი (60, თბილისი), ბექა ლვინიაშვილი (66, შიდა ქართლი) და ჯაბა კაპანაძე (+66, იმერეთი).

საინტერესო გამოდგა გუნდური შედეგების დაჯამებაც. უფრო სწორად - ბრინჯაოს პრიზორის გამოვლენა, თორემ პირველ-მეორე ადგილები უპრობლემოდ განანილდა. თბილისის ნაკრებმა 38 ქულით ყველას აჯობა. 32,5 ქულით მეორე ადგილზე კონკურენტი არც იმერეთის ნაკრებს ჰყოლია, აი, მას კი ორი გუნდი ჩაუდგა კვალში - შიდა ქართლმა და კახეთმა 26-26 ქულა დააგროვეს. აქ ყველაფერი დამატებითმა მაჩვენებლებმა გადაწყვიტა - ქართლებს მეტი ოქროს მედლები აღმოაჩნდათ და გუნდური ბრინჯაოც ირგუნეს.

ამ ჩემპიონატმა საქართველოს იმ ნაკრების შემადგენლობაც გამოავლინა, რომელმაც სულ მალე - თვის ბოლოს გორში ტრადიციულად დაღუპული სახელოვანი ქართველი ძიუდოსტის, 1989 წლის მსოფლიოს ჩემპიონ კობა კურტანიძის ხსოვნის ტურნირში უნდა იჭიდაოს - იქ გამოსვლის უფლება ყველა მედალოსანმა მიიღო. კურტანიძის ხსოვნის ტურნირი პირველად ტარდება და მასში უკრაინის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებიც გამოვლენ.

რუბრიკას უძღვევა ირაკლი თაბაძე

ტურნირი რაჭაში



8-9 ოქტომბერს, ამბროლაურის სპორტულ დარბაზში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გურამ სალარაძის სახელობის ტურნირი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის საჯარო სკოლის წარმომადგენელი ძიუდოსტები. ტურნირში სულ 190 მოზარდი მონაწილეობდა. მათ შორის მონაწილეობდა სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლის მძლეოსან მოსწავლეთა გუნდი, რომელმაც ტურნირში წარმატებულად იასპარეზა. გამარჯვებულ მოსწავლეებს ჯილდოები რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორმა დავით გაგოშიძემ გადასცა.

სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლის ძიუდოსტებმა ადგილები ასე გაინაწილეს: 29 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილის მფლობელი თორნიკე ცხვირაგაშვილი გახდა, 32 კგ. წონით კატეგორიაში პირველობა ნიკოლოზ კენჭაძეს ხვდა წილად.

23 კგ. წონით კატეგორიაში II ადგილის მფლობელი სანდრო სარდანაშვილი გახდა; III ადგილი კი გიორგი გორდენიანმა (23 კგ. წონითი კატეგორია) და ნიკოლოზ ჭიღვარიამ (54 კგ. წონითი კატეგორია) იკაინაწილეს.

ნიკოლოზ კენჭაძე: ჭრებალოს საჯარო სკოლის მოსწავლე, ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული: „ტურნირში გამარჯვება ჩემთვის დიდი სტიმულია. დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ტრენერს თამაზ მურუსიძეს განუთელი მუშაობისთვის, ჩემი სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს იმ მზარდაჭერისა და თანადგომისთვის, რომელსაც შეჯიბრის დროს ვგრძნობდი. შევეცდები შემდგომშიც გავამართლო ჩემი სკოლის იმედი.“

ნიკოლოზ კენჭაძე
ჭრებალოს საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.

www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096

გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოში მხარე.

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უპრუნდებათ.

რედაქციის რეპროდუქცია: საპრინტიფო ბანკი ზ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000